მიიღე ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის დიპლომი BTU-ს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში

ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან (University of Applied Sciences Zwickau) თანამშრომლობა BTU-ს ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს BTU-ს დიპლომის პარალელურად, მეორე, საერთაშორისო დიპლომის მოპოვების საშუალებას აძლევს და გერმანიაში ბოლო 3 ან 4 სასწავლო სემესტრის გატარებას გულისხმობს.
ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი გერმანიის წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, 1897 წელს დაარსდა და დღეს ის 8 ფაკულტეტსა და 50 სხვადასხვა ხარისხის პროგრამას აერთიანებს.

გადადი ბმულზე და მიიღე მეტი ინფორმაცია ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდიდან.

WHZ Westsächsische Hochschule Zwickau
University of Applied Sciences

პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სტუდენტის აქტიური სტატუსი, გერმანული ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინა სემესტრებში ბტუ-ს შესაბამისი პროგრამით არანაკლებ 120 კრედიტის (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში კრედიტის) დაგროვება.

სტუდენტი, რომელიც ირჩევს აღნიშნულ ორ სადიპლომო პროგრამას, წინა სემესტრებში სწავლობს ფაკულტეტთან შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

გაცვლითი პროგრამის განხორციელების ადგილი: ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან (University of Applied Sciences Zwickau)

სწავლების ენა: გერმანული;

სწავლების ხანგრძლივობა: 3 ან 4 სემესტრი

პროგრამის საფასური : პროგრამით სარგებლობის შემთხვევაში, სტუდენტები იხდიან მხოლოდ BTU-ს სტანდარტულ წლიურ სწავლის საფასურს

მასპინძელ უნივერსიტეტში დასაფარი კრედიტების რაოდენობა: მინიმუმ 90 კრედიტი

სტიპენდია: მაღალრეიტინგულ სტუდენტებს, გერმანიაში გასამგზავრებლად, შესაძლებლობა ექნებათ მოიპოვონ DAAD-ის სრული სტიპენდია.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:
international@btu.edu.ge